ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3151799

ნომერი: AR1486457

თარიღი : 15.03.2017

გაცემის თარიღი : 16.03.2017

გაცნობის თარიღი : 16.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/295 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- სოხუმი, ორჯონიკიძის ქ. 73 ბ.4

ორგანიზაცია:
- შპს ეპიკ ნუცუბიძე კოდი: 401997327

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2016 წლის №2890048 და 28.02.2017 წლის №3110714 ბრძანებებში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 15 მარტს #AR1486457 განცხადებით მომართა ვასილი ჯალაღონიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 და 2017 წლის 28 თებერვლის №3110714 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება .

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის, ნაკვ. #01/295, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსი #10-ის ბლოკი „ა“ და ბლოკი „ბ“) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 13 ოქტომბრიდან 2018 წლის 13 აპრილის ჩათვლით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 თებერვლის №3110714 ბრძანებით, გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: ავტოსადგომის ფართობად (კვ.მ).: 1515.3 და საერთო ფართობად (კვ.მ).: 13833.2;

დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 13.08.2016 წლის №2890048 და 28.02.2017 წლის №3110714 ბრძანებებში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსი #10-ის ბლოკი ‘ა“ და ბლოკი „ბ“) ნომრის ჩასწორებას.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ სამსახურის 13.08.2016 წლის №2890048 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა და 28.02.2017 წლის №3110714 ბრძანებით გასწორებული ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 13 ოქტომბრის №2890048 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ვრცელდება მრავალბინიან საცხოვრებელი სახლზე (კორპუსი #9-ის ბლოკი ‘ა“ და ბლოკი „ბ“).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს დაშვებული შეცდომა ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2016 წლის №2890048 და 28.02.2017 წლის №3110714 ბრძანებებში, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ნომრად მიეთითოს კორპუსი #9-ის ბლოკი ‘ა“ და ბლოკი „ბ“ ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.08.2016 წლის №2890048 და 28.02.2017 წლის №3110714 ბრძანებებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.